ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N1-92

ქ. თბილისი

12 დეკემბერი 2016 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ-ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი უფროსის **ვასილ გედევანიშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ალექსანდრეული "** (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **იური ხაჭაპურიძის** სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, 2016 წლის საბიუჯეტო სახსრებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: 20 (ოცი) ბოთლი სასაჩუქრე ღვინო (CPV-15930000) სახელმწიფო შესყიდვა, (შემდგომში - საქონელი).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და დღგ-ს ჩათვლით შეადგენს - **360,00 (სამასსამოცი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1. "მიმწოდებელი" უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაში არ ჩაითვლება დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის შეჩერებულია "შემსყიდველის" მიზეზით.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, გ. გულუას ქN6

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია, მიწოდებული საქონლის დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით, "შემსყიდველს" საქონელთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.4. "შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ-ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს **მირზა სულხანიშილი პN01012020855**

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **"შემსყიდველი" უფლებამოსილია:**

ა) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მიმწოდებლის ქმედებით ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის შედეგების დადგომისას, მიწოდებული საქონლის ღირებულება გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მე-6 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში.

7.2. **"შემსყიდველი" ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს "მიმწოდებლის" მიერ საქონლის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

7.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) საქონელი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა (ვარგისიანი პროდუქტი) და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხოლო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეცვალოს ახალი ანალოგიური საქონლით, განსაკუთრებულ შემთხვევებში გონივრულ ვადაში.
ბ) დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
დ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი სახის მატერიალური ზარალი.
7.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ-ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს **მირზა სულხანიშილი პN01012020855**
8.2. ინსპექტირება გულისხმობს "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
8.3. იმ შემთხვევაში თუ "შემსყიდველი" ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".
8.4. მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარე ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.
9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.
9.6. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფის მიერ განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ დაუყოვნებლივ, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით ან წერილობითი ფორმით მიმართოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო

ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 2 სამუშაო დღის ვა
მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 12 დეკემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

15. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლისა ან/და მომსახურების სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო ერთი ეგზემპლარი - "მიმწოდებელს".

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“
მის: ქ. თბილისი გ. გულუას ქ.N6
საიდენტიფიკაციო კოდი:204585564
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი:TRESGE22
ტელ: 591 40 40 12

ვასილ გედევანიშვილი
სააგენტოს უფროსი

ვ.

მიმწოდებელი

შპს ,,ალექსანდრეული“
მის: ამბროლაური სოფ. ბუგეული
საიდენტიფიკაციო კოდი:222938070
მომსახურე ბაკი: ს.ს. ,,საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი:BAGAGE22
ა/ა GE29BG0000000320148400
ტელ:591 192 218

იური ხაჭაპურიძე
დირექტორი

საქართველო. შპს "ალექსანდრეული" GEORGIA. "ALEKSANDREULI" LTD. 222938070 ГРУЗИЯ. ООО "АЛЕКСАНДРЕУЛИ"

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 12 დეკემბერი 2016 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“ და შპს „ალექსანდრეული,“-ს შორის 2016 წლის 12 დეკემბერს N1-92 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

_____ ვასილ გედევანიშვილი

_____ მირზა სულხანიშვილი

_____ თამარ გულიაშვილი